ოქმი N10

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 30 ნოემბერი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 21 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 20 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

7. „დოდო გაბუნიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

8. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 28 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის თაობაზე“ ანგარიშის შესახებ

(მომხსენებელი: ლ. ქავთარაძე - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. იოსავა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დ. გაბუნია - გამომსვლელი დაინტერესდა, მუნიციპალიტეტის ცენტრში, ცენტრალურ გზაზე თუ იცვლებოდა საახალწლო განათებები?

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განმარტა, რომ ცენტრალურ გზაზე იცვლებოდა განათებები და სხვა ადგილებზეც მოეწყობოდა ახალი განათებები, რომელიც დაამშვენებდა ქალაქს და გაახარებდა ბავშვებს.

მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა, გამონთავისუფლებული 5350,0 ათასი ლარი სად იქნა მიმართული და რისი შეძენა იყო გათვალისწინებული?

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა, განმარტა, რომ ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრისთვის“ 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 5350,0 ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „კულტურული, სპორტული, საგანმანათლებო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯი“ ასიგნება (2800,0 მკლავჭიდის ჯგუფის, 1550,0 ლარი-კარატეს ჯგუფის და 1000,0 ლარი-ბილიარდის ჯგუფის სპორტული

ღონისძიებების ასიგნება) და 3400,0 ათასი ლარით გადიდდა „ოფისის ხარჯების“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯი“ ასიგნება, 1950,0 ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „კულტურული, სპორტული, საგანმანათლებო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯი“ ასიგნება (მძლეოსნობის ჯგუფის სპორტული ღონისძიებების ასიგნება).

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ, სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტით, 2022 წლის შემოსულობები განისაზღვრა - 21321,0 ათასი ლარით და გადასახდელები განისაზღვრა -25223,4 ათასი ლარით. ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასევე ხორციელდება შემდეგი ცვლილებები: 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან 100,8 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი) მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის ,,დასუფთავება და გარემოს დაცვა“ (პროგრამული კოდი 03 00) ასიგნებები 100,8 ათასი ლარი, კერძოდ: 100,8 ათასი ლარით პროგრამის ,,დასუფთავების ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი 03 01) ასიგნებები, აქედან: 100,8 ათასი ლარი - შპს ,,ხობი დასუფთავება და განათება“-ს ,,სხვა ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,კაპიტალური ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“ ასიგნება. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. იოსავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N21 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის“ დაშლისა და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სამი წევრის მიერ დატოვების გამო, აუცილებელი გახდა ფრაქციათა პროპორციულობის წარმომადგენლობის ცვლილება. რის საფუძველზეც კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და საკრებულოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 20, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. იოსავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N27 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-4, მე-5 და მე-6 საკითხებთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს ფრაქცია „ხობი-საქართველოსთვის“ დაშლისა და ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სამი წევრის მიერ დატოვების გამო, აუცილებელი გახდა ფრაქციათა პროპორციულობის წარმომადგენლობის ცვლილება, რის შესაბამისადაც ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მიერ შემცირებული პროპორციული წრმომადგენლობის საფუძველზე წარმოდგენილ იქნა კომისიებში ცვლილებები, კერძოდ: საკრებულოს წევრი აკაკი მალანია ფრაქციის მიერ წარდგენილია საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში, ხოლო კობა გერგაია გაწვეულია საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიიდან, ფრიდონ შონია საფინანსო-საბიუჯეტო კომისიიდან და აკაკი მალანია ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიიდან. რაც შეეხება საკრებულოს დამოუკიდებ წევრს დიტო ხასიას პირადი განცხადების საფუძველზე გამოყვანილ იქნა განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან და შეყვანილ იქნა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში. ასევე დამოუკიდებელი საკრებულოს წევრი გოჩა ქაჯაია პირადი განცხადების საფუძველზე შეყვანილ იქნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში, საკრებულოს დამოუკიდებელი წევრი ნუგზარ შუშანია ასევე პირადი განცხადების საფუძველზე შეყვანილ იქნა საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობაში. ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით კომისიის მიერ

მომზადდა განკარგულების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა ცნობის სახით.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი ცნობად იქნეს მიღებული.

(განკარგულება N28 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი ცნობად იქნეს მიღებული.

(განკარგულება N29 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N34 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი ცნობად იქნეს მიღებული.

(განკარგულება N30 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი ცნობად იქნეს მიღებული.

(განკარგულება N31 ოქმს თან ერთვის)

7. „დოდო გაბუნიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „დოდო გაბუნიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ შემადგენლობის დ. გაბუნიას მიერ დატოვების გამო, ფრაქციის გადაწყვეტილებით დ. გაბუნია გაწვეულ იქნა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან და შესაბამისად კომისის თავმჯდომარის პოზიციიდანაც, რაზედაც ფრაქციის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ იქნა ფრაქციის სხდომის ოქმი. წარმოდგენილი ოქმის საფუძველზე კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი: „დოდო გაბუნიას ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა ცნობის სახით.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხი ცნობად იქნეს მიღებული.

(განკარგულება N32 ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს (მ. ქარდავა) დაეკავებინა სხდომის თავმჯდომარის ადგილი, რადგანაც თვითონ საკრებულოს წინაშე წარსდგებოდა ანგარიშით.

8. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 28 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის თაობაზე" ანგარიშის შესახებ

(მომხსენებელი: ლ. ქავთარაძე - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ქავთარძე - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 28 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის თაობაზე (ოქმს თან ერთვის)

გამომსვლელმა ვრცლად ისაუბრა საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ და დასასრულს აღნიშნა, რომ საკრებულოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ურთიერთობა აღმასრულებელ ორგანოსთან. საკრებულოს და მერიის კოორდინირებული საქმიანობა ძირითადი საფუძველია მუნიციპალიტეტში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განსახორციელებელი სამუშაოების წარმატებით შესრულებისთვის. საკრებულოს მიერ სისტემატურად განიხილებოდა მერიის მიერ მოწოდებული პროექტები თუ წინადადებები. შემოსული პროექტებიდან ყველაზე მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილება, ხოლო შემოთავაზებული წინადადებები აქტიურად განიხილებოდა კომისიების და ბიუროს მიერ. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოებისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სხვადასხვა ძირეულ საკითხზე. საკრებულო მზად არის, მოისმინოს დასაბუთებული შენიშვნები, მიიღოს ობიექტური კრიტიკა, გაითვალისწინონ საქმიანი წინადადებები. გამომსვლელმა ბოლოს, მადლობა გადაუხადა საკრებულოს თითოეულ წევრს, საკრებულოს აპარატს, ხობის მუნიციპალიტეტის მერიას საკრებულოსთან თანამშრომლობისა და გაწეული საქმიანობისათვის, დარწმუნებულია ყოველი მომდევნო წელი გაცილებით უკეთესი იქნება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ (მ. ქარდავა) მიმართა საკრებულოს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც საკრებულოს წევრებმა შეაფასეს წარმოდგენილი ანგარიში.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი ანგარიშის შეფასებას

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი

არადამაკმაყოფილებელი – 0

დამაკმაყოფილებელი – 17

დადებითი – 3 (დ. გაბუნია, მ. თათარიშვილი, მ. ლემონჯარია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. იოსავა)

დაადგინეს: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 28 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2022 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. ნუგზარ შუშანია
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ბექა მამაცაშვილი
8. მედეა თათარიშვილი
9. ლევანი ლიპარტია
10. აკაკი მალანია
11. გიორგი გვასალია
12. ბადრი რიჟამაძე
13. ფრიდონი შონია
14. ფრიდონი კუკავა
15. მაკა ჩარტია
16. სერგო ბერაია
17. მზია ლემონჯარია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. აკაკი ხურცილავა